ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE NEWUNI

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 130-ს

თარიღი: 28.12.2017 წელი

ცვლილების თარიღი: 17.05.2021 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი/დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ახალ უმაღლეს სასწავლებელი - ნიუუნის“ (შემდგომში - ნიუუნი და/ან სასწავლებელი) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების ნაწილს და არეგულირებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს და შესასრულებლად სავალდებულოა ამ პროცედურებში მონაწილე ყველა პირისთვის.
2. წინამდებარე წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები

შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახიდან (კოლეჯი) გამომდინარე, ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) პროგრამებს.

მუხლი 2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მისი სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;
2. პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან. სწავლის სფეროს დასახელება ასევე, არ უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი) დასახელებასა და საქმიანობას.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებების, დარგობრივი მახასიათებელისა (არსებობის შემთხვევაში) და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
4. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი პროგრამის/პროგრამების კომბინირება, რომლის შესაბამისი სწავლის სფეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში.
5. თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ ან/და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.
6. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო და არჩევითი სახით. დამატებითი პროგრამა და თავისუფალი კომპონენტები ასევე, უნდა მოიცავდეს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებს/საგნებს/მოდულებს.
7. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის

შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.

8. პროგრამაში შემავალი კომპონენტების, კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული კურსების მოცულობა წარმოდგენილი უნდა იყოს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომლის მიხედვით, 1 კრედიტი ტოლია 25 - 30 საათისა.
9. პროგრამაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.
10. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:
    - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება/დასახელება[1] (ქართულად და ინგლისურად);
    - ✓ უმაღლესი განათლების საფეხური;
    - ✓ კვალიფიკაციის დონე[2]
    - ✓ კვალიფიკაციის დასახელება[3] (ქართულად და ინგლისურად);
    - ✓ დეტალური სფეროსა და სწავლის სფეროს კოდი;
    - ✓ დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013);
    - ✓ სწავლების ენა (პროგრამა შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე, შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში);
    - ✓ ECTS კრედიტების რაოდენობა (კრედიტის მოცულობა, სემესტრების რაოდენობა, სემესტრის მოცულობა, წელიწადში მინიმალური და მაქსიმალური კრედიტების რაოდენობა);
    - ✓ პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
    - ✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
    - ✓ პროგრამის სტრუქტურა;
    - ✓ პროგრამის მიზანი;
    - ✓ სწავლის შედეგები;
    - ✓ სწავლება-სწავლის მეთოდები;
    - ✓ სტუდენტის შეფასების სისტემა;
    - ✓ პროგრამის შესაბამისობა მისიასთან;
    - ✓ დასაქმების და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
    - ✓ სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
    - ✓ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
    - ✓ სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა);

[1] შინაარსობრივად შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაშიდ ფორმირებული კვალიფიკაციის დასახელება

- ✓ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი /აკადემიური და მოწვეული პერსონალი/;
- ✓ მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

საგანმანათლებლო პროგრამას ასევე უნდა ახლდეს:

- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის დამტკიცების აქტი.

11. პროგრამის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსდება სასწავლებლის ვებგვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მოცემული უნდა იყოს 2.10-ით განსაზღვრული ინფორმაცია შემოკლებული სახით.

მუხლი 3. კვალიფიკაციის დასახელება

1. საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის (ბაკალავრიატი) შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.
2. ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციების ზოგადი აღმნიშვნელებია:
   ბიზნეს ადმინისტირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration /BBA;
   ბაკალავრი Bachelor
   ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი Bachelor of Arts /BA;
   მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Science /BSc;
   სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Music /Bmus;
   ხელოვნების ბაკალავრი Bachelor of Fine Arts/ BFA;
   ინჟინერიის ბაკალავრი Bachelor of Engineering /BEng

3. უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე კონკრეტული კვალიფიკაციების ქართული და ინგლისურენოვანი დასახელებები განისაზღვრება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილი წესით, წავლის სფეროების მიხედვით, უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებების შესაბამისად.

მუხლი 4. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა 240 ECTS-ის ფარგლებში შესაძლებელია აგებული იყოს შემდეგი პრინციპით:
   ა) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები;

ბ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები;

გ) ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

2. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები.
3. პროგრამის მინიმალური მოცულობა უნდა განისაზღვროს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის შესატყვისად. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლებელი უფლებამოსილია, პროგრამის მოცულობად განსაზღვროს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის მინიმალურ მოცულობაზე მეტი.
4. პროგრამის შინაარსი სასურველია ეყრდნობოდეს შემდეგ მონაცემებს:
   - ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს;
   - შესაბამის დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს;
   - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, სფეროში მომუშავე ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ჩატარებულ კვლევის შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - სამაგიდე კვლევის შედეგებს დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით და სხვ
5. პროგრამის შინაარსის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
6. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის/შემადგენელი კომპონენტების აღწერა. აღწერა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსით, აქტივობითა თუ კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები და მიიღწევა მიზნები.
7. პროგრამაში, შესაბამისი კრედიტების მითითებით, სასურველია აღწერილი იყოს:
   - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (მ. შ. კონცენტრაცია არსებობის შემთხვევაში)
   - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო—არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები /მოდულები (მათ შორის კონცენტრაცია, არსებობის შემთხვევაში)
   - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები
   - პრაქტიკის კომპონენტი (არსებობის შემთხვევაში);
   - საბაკალავრო ნაშრომი (არსებობის შემთხვევაში)
   - დამატებითი პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები/ (არსებობის შემთხვევაში)
   - სხვა.

8. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ.
9. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას უნდა ახლდეს ***სწავლის შედეგების რუკა***, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, რომელი კურსი ან/და პროგრამაში შემავალი კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის. შესაბამისად, იძლევა ინფორმაციას, რამდენადაა სწავლის ყველა შედეგი დაფარული.

მუხლი 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა;
2. ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები უნდა გამომდინარეობდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან და ისინი მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პროგრამის შინაარსს;
3. პროგრამის დაშვების წინაპირობის/წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი საფეხურის (საბაკალავრო) კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა;
4. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები;
5. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც სპეციალური რეგულაციებით უნდა განისაზღვროს.
6. პროგრამის განხორციელების დაგეგმვისას კარგად უნდა გავიაზროთ, რა ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პირების მიღება გვსურს პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები უნდა გამომდინარეობდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან და ისინი მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ პროგრამის შინაარსს.

მუხლი 6. პროგრამის მიზნები

1. პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებშიც ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა.
2. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
3. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის მისიის მიღწევას;

მუხლი 7. სწავლის შედეგი

1. სწავლის შედეგი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, რაც ასახული იქნება ***პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე***;
2. როგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
3. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს;
4. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ასევე უნდა მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი;
6. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს;
7. სწავლის შედეგებში, სასურველია, ასახული იყოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე დაფუძნებული ბაზრის მოთხოვნებიც;
8. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ.
9. სწავლის შედეგებში სასურველია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებაც და მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგების გადახედვა/გათვალიწინება;
10. სწავლის შედეგები არ უნდა იყოს ძალიან ბევრი /სასურველია არაუმეტეს 10-სა/.
11. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, სასურველია ბლუმის განახლებული ტაქსონომიის გამოყენება.

მუხლი 8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

1. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნისა და შედეგების მიღწევას და შეესაბამება სწავლების საფეხურს. სწავლება-სწავლის მეთოდების მითითების დროს გამოყენებულ უნდა იქნას მეთოდები ამა თუ იმ სფეროს (დეტალური, სწავლის) სპეციფიკისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 9. სტუდენტის შეფასება

1. შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული კურიკულიმითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგი;

2. სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით;
3. სტუდენტთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობაბა, გამჭვირვალობა;
4. სასწავლო კურსის შეფასება უნდა განხორციელდეს 100–ქულიანი სისტემით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. სტუდენტთა შეფასებისას შესაძლებელია ორი ტიპის შეფასების გამოიყენება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. *განმსაზღვრელი შეფასების მიზანია* სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. *განმავითარებელი შეფასება,* როგორც ტერმინი მიუთითებს, სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული; ამ შეფასებით კონტროლდება თითოეული სტუდენტის განვითარების დინამიკა და ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.
6. დაუშვებელია სტუდენტის შეფასება ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზეა; შეფასება უნდა მოხდეს რამდენიმე კომპონენტით (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება).
7. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციების ზღვარი;
8. სასურველია გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები და მეთოდები ამა თუ იმ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით.
9. სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა უნდა მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს

მუხლი 10. სასწავლო გეგმა

1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს დარგში წარმატებულ გამოცდილებას და მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. სასწავლო გეგმაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: სასწავლო კურსის სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების სემესტრი და სხვ.
2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები.
3. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს.
4. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას.

მუხლი 11. სასწავლო კურსი, სილაბუსი

სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

- პროგრამის სახელწოდება;
- უმაღლესი განათლების საფეხური;
- სასწავლო კურსის სახელწოდება;
- ავტორ(ებ)ი/განმახორციელებელ(ებ)ი;
- სასწავლო კურსის სტატუსი;
- სწავლების სემესტრი;
- სწავლების ენა;
- წინაპირობები;
- ECTS კრედიტი;
- სტუდენტის სასწავლო დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები);
- ავტორ(ებ)ი, განმახორციელებელი/განმახორციელებლები;
- ინფორმაცია კონსულტაციის შესაძლებლობების შესახებ;
- სასწავლო კურსის მიზანი;
- სწავლის შედეგები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- სტუდენტის მიღწევების შეფასება;
- შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა/ სხვა სასწავლო მასალა;
- სხვა ინფორმაცია სტუდენტებისათვის.

მუხლი 12. ადამიანური რესურსი

1. პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
2. პროგრამას უნდა დაერთოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ბიოგრაფიული მონაცემები (CV).
3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით და/ან პროფესიული გამოცდილებით.

მუხლი 13. პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები

1. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სასწავლებლის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები პასუხისმგებელია პროგრამის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე.
3. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები წარმოადგენს ფაკულტეტისა და სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
4. პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიური პროცესის შესაბამისად წარმართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია.
5. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:
   - უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავება/განვითარებას უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიის გათვალისწინებით;
   - უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან; პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას პროგრამის დარგობრივი სტანდარტის (არსებობის შემთხვევაში) შინაარსსა და მიზნებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროგრამის ურთიერთშესაბამისობას;
   - თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
   - იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის განსახორციელებლად პერსონალზე აკადემიური დატვირთვის განაწილების შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოწვევას;
   - მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში, ატარებს პროგრამის განხორციელების სისტემატურ მონიტორინგსა და ანალიზს და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ახორციელებს ცვლილებებს ფაკულტეტთან თანამშრომლობით;
   - აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის სპეციალისტებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის შემუშავება/განვითარების მიზნით;
   - ახორციელებს ინფორმაციის მოთხოვნა/გაცვლას ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, გარე სააგენტოებსა და პარტნიორებთან პროგრამის ფარგლებში;
   - ჩართულია მობილობის (შიდა და გარე) მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში;
   - მონაწილეობს პოტენციური სტუდენტების მოზიდვის აქტივობებში;
   - ხელს უწყობს სტუდენტების ინტეგრაციას სტუდენტთა ხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრთან.

6. პროგრამის შედგენასა და მის განხორციელებაში მონაწილე პირები ანგარიშვალდებულები არიან პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის წინაშე;

მუხლი 14. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. პროგრამის ბიუჯეტის პროექტს ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს სასწავლებლის ფინანსური სამსახური, რომელსაც შემდგომ განიხილავს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი ეფუძნება ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობით პროცესს, რომელშიც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ;
2. საგანმანანათლებლო პროგრამის ინიცირების საკითხი შეიძლება დაისვას ფაკულტეტის საბჭოს ან/და სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ;
3. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს: შრომის ბაზრის ან/და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, განათლების ბაზარზე არსებულო მოთხოვნა ან სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საჭიროებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის/პროგრამების აკრედიტაციის ვადით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სამუშაო ჯგუფი (შემდგომში: ჯგუფი), რომლის შემადგენლობაში შედიან:
   - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი;
   - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწველული პერსონალი;
   - სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენელ(ებ)ი;
   - სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - კურსდამთავრებულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელ(ებ)ი/პოტენციური დამსაქმებელ(ებ)ი;
   - შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში);
   - უცხოელი სპეციალისტ(ებ)ი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
   - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელ(ებ)ი;
   - სხვა წევრი/წევრები.

5. ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ფაკულტეტის და სასწავლებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;
6. ჯგუფის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნან მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) , რომლებსაც დაგროვილი აქვთ არანაკლებ 60 კრედიტი;
7. ახლად ინიცირებული პროგრამის შემთხვევაში ჯგუფის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნას იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტი, რომელიც უსდ-ში უკვე ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში და რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 60 კრედიტი ან სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი;
8. ახლად ინიცირებული პროგრამის შემთხვევაში ჯგუფის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნას იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული, რომელიც უსდ-ში უკვე ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში;
9. ჯგუფი იქმნება ერთი საგანმანათლებლო პროგრამისთვის;
10. ჯგუფს თავმჯდომარეობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი;
11. ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით;
12. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები , სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება და სხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
13. ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სამუშაო ჯგუფმა:
    - სწავლის შედეგების ფორმირებისას უნდა მოიძოს საერთაშორისო პრაქტიკა და სამი წამყვანი ევროპული /მ.შ. პარტნიორი/ უნივერსიტეტის მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები; გაითვალისწინოს საერთაშორისო დარგობრივი მოთხოვნები /არსებობის შემთხვევაში/;
    - საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, მისი სტრუქტურის დაგეგმვისას, ასევე რეკომენდებულია მოიძიოს დარგში არსებული თანამედროვე მიღწევები და შეაფასოს მინიმუმ სამი წამყვანი ევროპული /მ.შ. პარტნიორი/ უნივერსიტეტის მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა;
    - სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შეფასების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინოს მინიმუმ სამი ევროპული /მ.შ. პარტნიორი/ უნივერსიტეტის გამოცდილება, სასურველია ასევე მოიძიოს თანამედროვე კვლევები დარგში, სწავლის შედეგის მიღწევის, შეფასების მიზნით საუკეთესოდ მიჩნეული მეთოდები;
    - ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ადგილობრივ საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია ყველა სტანდარტთან მიმართებით სრული შესაბამისობით. ამასთან, პროგრამების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და აკრედიტაციის საბჭოს ოქმების პერიოდული გაცნობა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მოძიებისთვის;

14. საგანმანათლებლო პროგრამის პირველად სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ჯგუფს;
15. ჯგუფს საგანმანათლებლო პროგრამას განსახილველად წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. იგი უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში ისე, რომ შეიქმნას ხარისხიანი, შრომის ბაზრის ინტერესებზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამა.
16. ჯგუფის წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ;
17. ჯგუფის მუშაობას არეგულირებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე მომუშავე მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესი;
18. ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიურ პერსონალთან შეჯერებული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
19. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას სასწავლებელში არსებულ და გარე მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებთან; სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს;
20. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და, თანხმობის შემთხვევაში, წარუდგენს მას სასწავლებლის აკადემიური საბჭოს განსახილველად;
21. საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით;
22. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 16. პროგრამის განხორციელების შეფასება, განვითარება და ცვლილება

1. პროგრამის განხორციელების პროცესს აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით.
2. პროგრამის განახლება/პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინიციატივით, ან ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა უნდა ემსახურებოდეს მასზე სწავლება-სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებას.
3. ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, სემესტრში ერთხელ მაინც, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, ფაკულტეტის დეკანის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით.

4. ჯგუფის თავმჯდომარე აცნობს ჯგუფის წევრებს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს.
5. ჯგუფის წევრები განიხილავენ პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს და შეიმუშავებენ წინადადებებს/რეკომენდაციებს პროგრამის განახლებისა და განვითარების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).
6. ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების/რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამის განახლების, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით შეიძლება მომზადდეს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები.
7. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძება ასევე გახდეს გარე მარეგულირებელის ჩარჩოს მოთხოვნები, ხარისხის შეფასების გარე მექანიზმების განხორციელების შედეგად მიღებული რეკომენდაციები.
8. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
9. პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობას;
10. შეცვლილ საგანმნათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
11. დამატებით სემესტრში ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას სტუდენტი გათავისუფლებულია სწავლის გადასახადისგან;
12. საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად განახლდება პროგრამის კატალოგი.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხროციელება არ შეესაბამება სასწავლებლის მისიას;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლენილია პროგრამის განხორციელების რისკ-ფაქტორები;

ე) კანონმდებლობით გათვალისწონებულ სხვა შემთხვევაში.

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხი განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების შესახებ წარედგინება აკადემიურ საბჭოს, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
3. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებელი ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე აცნობოს ამის შესახებ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და დეტალურად გააცნოს მათ ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.
4. სასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ გავლილი აკადემიური სასწავლო კურსების მაქსიმალური მოცულობით აღიარებას, და მობილობის პროცესის გამარტივებას, რისთვისაც სასწავლებელი აფორმებს ხელშეკრულებას მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

მუხლი18. საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) პროგრამას და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);

2. სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, სემესტრის დაწყებამდე, შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები /მოდულებიდან და თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები/მოდულებიდან გააკეთოს არჩევანი; ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს წინაპირობების დაცვა;

3. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირების ფორმაა სასწავლებლის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით უცხოელი ექსპერტის შერჩევის კრიტერიუმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით მოწვეული უცხოელი ექსპერტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- დოქტორის ხარისხი შესაბამისი მიმართულებით;
- აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის, სწავლებისა და კვლევის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან/და შეფასების გამოცდილება.

2. უცხოელი ექსპერტის შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ღია კონკურსის წესით, ასევე მოწვევით ან/და რეკომენდაციის საფუძველზე.

3. უცხოელი ექსპერტის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება ექსპერტს, რომელსაც აქვს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის, ან/და საქართველოს უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გამოცდილება.

4. უცხოელი ექსპერტის შერჩევისას, მხედველობაში მიიღება ასევე ის უნივერსიტეტი, სადაც ასწავლის/იკვლევს უცხოელი ექსპერტი. ის აფილირებული უნდა იყოს ევროპის, აშშ-ს ან ბოლონიის წევრი ქვეყნის აკრედიტებულ უნივერსიტეტთან.

5. უცხოელი ექპერტის შერჩევა შესაძლოა განხორციელდეს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეკომენდაციის საფუძველზე.